1909 წ. გამოც. 5.

[illegible] 10 კ.

იუმორისტული ალმანახი

ეშმაკის მათრახი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типографія Т-ва «Шрома» для Алманаха.

ახალ წელსა მივულოცავთ: თუმც პაპისა-პაპის ანდერძს
ეშმაკებს და წმინდა სულებს, ვერც ეს ნორჩი შეასრულებს.

ეშმაკის ძილოცვები.

სახელმწიფო დუმას.

შენი ფესვი ამოვარდეს
„დუმა“ ხარ თუ „სათათბირო“,
კიტრის ფასად აღარ ღირხარ
ულაჭათოვ და შავ-პირო!
შავრაზმული კანონები
ვინძლო უფრო გაახშირო.

წერა-კითხვის საზოგადოებას

იმედია, მომავალშიც
თავს დიდათ არ გაიცხელებ
და სოფლებში წერა-კითხვას
ადრინდულად გაავოცელებ;
ერთ-ნახევარ სკოლას გახსნით
ორ-ნახევარ სამკითხველოს,
და ამგვარათ ორ-სამ წელში
აიყვავებთ საქართველოს.

ქართულ თეატრს.

ორივ თვალი გამოგთხარეს:
არც ლადო გყავს, აღარც ნინა...
გაბუნიას გაძევებამ,
ცოტათ ვასოც შეაშინა...
თუმცა ტყავი შეიცვალე,
(ახალი გაქვს ახლა ბინა)
მაგრამ გულის სიძველემან
სწოლოეთ თავი აგვატკინა.

სახალხო უნივერსიტეტს.

შენც „სახალხოს“ ვიწოდებენ,
მიკვირს, რატომ არ გრცხვენია!
ხალხის ენა ხომ წაგართვეს
და სხვა რაღა დაგრჩენია?!

სათავად-აზნაურო ბანკს

„ედემია“ შენი ზღუდე,
მაგრამ ვიძევს „ბეწვის ხიდი“,
გასავლელათ სახიფათო,
და ისედაც მოსარიდი;
საჭიროა: „ნიშადურის“
ზნეობა და ტურფა კილო,
რომ ხიდზედაც გადირბინო,
და არც დარჩე უადგილო.

„სახალხო“ სახლს.

სახალხო სახლს გეძახიან
და წარწერაც მოწმობს ამას,
მაგრამ კარი მიუხურე
თითონ ხალხს და ხალხის მამას,
მით რომ „ხალხის უნივერსტეტს“
არ მიეცი შენთან ბინა,
და თუ მართლა „სახალხო“ ხარ
ხალხმა რაზე შეგაშინა?

სამეურნეო საზოგადოებას.

ქვასაც ხავსით დაამერებს,
ერთ ალაგას მუდამ წოლა...
ქენით მადლი, მოიგონეთ
თქვენი საბაღოსნო სკოლა!!.

მეტეხის ციხეს.

ძველად მტერთა მრისხანება,
დღეს მოყვრების გახდი მახე,
განთქმულია შენი წესი
და სისასტიკ-სივაგლახე,
ფრიალ კლდეზე წამოდგმულო
ქორის ბუდეს გიგავს სახე,
შიგ ბევრია მიმავალი,
გამომსვლელი ვერვინ ვნახე.

„სიტყვა-კაზმულ“ მწერალთა საზოგადოების ზოგიერთ წევრებს.

„არა შეჯდა მწყერი ხესა,
არა იყო გვარი მისი“,
ყვავს ბულბული დავუძახოთ
არც ეგ არის საკადრისი.
„სიტყვა-კაზმულს“ როცა ირქმევთ,
რა შეჰქმენით ამის ღირსი?
მაგრამ მაინც მოგილოცავთ,
რომ არ დამრჩეთ გულ მწუხარეთ:
ხეობელი მდივნათ მოგცათ,
აკობია თავმჯდომარეთ.

ტრამვაის საზოგ დოებას.

მსახურებს რომ წამოადგა
ძველებური მძიმე კეხი,
ამით, ვგონებ, არ დაიკლებს
ჩვენში ფეხებ-მონატეხი.
დიდი არის კავკასია
და კოტლებიც მრავალ-გვარი,
ხოლო შენ თუ მათ აძლიე
აქ მუშების მონაგარი,
დამერწმუნე, არ გაგყვება
არც ტყავი და არც ქანქარი.

„უურნალისტთა“ საზოგადოებას.

ჯერ ნორჩი ხარ, ახალგაზრდა
ფრიად სათუთ-უსუსური,
და გისურვებ გაზრდილიყო
წელ მაგარ, ხმა ვაჟკაცური,
რომ თფილისის პრესისათვის
გაგეწიოს სამსახური.

საახალწლო მოთხრობა.

(ნამუშა ჩვენებური „სიტყვა-კაზმულ“ მწერლობისა).

დღე გათავებულიყო და ღამე დამდგარიყო. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ პირისაკენ წაღებულ ლუკმას ყურში ჩაიდებდი. ვარსკვლავები ცაზედ ხვრინავდენ. მთვარე სადღაც შემძვრალიყო და სანთლითაც ვერ იპოვნიდით. მზის ამოსვლის დრო არ იყო და ამიტომ ბნელოდა. მოკრიალებულ, ლილისფერ ცაზე შავ-შავი ღრუბლები გაწოლილიყვნენ და კბილებსა ღრჭენდნენ. ისეთი სიცივე იყო, ისეთი, რომ გახურებულ საკრეში ჩაგდებაც ვეო გაგათბობდა. დასავლეთელი, ქარი მოწყურებულ ძროხასავით ბღოდა. იქვე სოფლის ახლო მდინარე მირბოდა. წყალს თუ იკითხავ ბარე ასი ფუთი წყალი მაინც კი იქნებოდა შიგ. მდინარე ზმუოდა და ქარიც კიოდა. სოფელში ხეებიც იყვენ, მუხა თხემლა, ნიგოზი და სხვა. ხეებს ტოტები ზოგს აღმა ქონდა აშვერილი და ზოგს დაღმა. როცა ქარი მოუბერავდა ფოთლებს აპროწიალებდა. სოფელში სახლებიც იყო. ამ სახლებში ცხოვრობდენ კაცები და ქალები. ღამე იმათაც ეძინათ. სახლებში მძინარე კაცთა ცხვირთაგან ისეთი ხროტინის ხმა ისმოდა, რომ გულს საამოთ მოგეფონებოდა.

სოფრომა ჯორაძის ოჯახშიაც კარგა ხანია ხვრინვა დაეწყოთ. სულ ოთხი სული ხვრინავდა: სოფრომა, მისი ცოლი მარიკელა, ბიჭი კოწია და ქალიშვილი შიშტიბუქა. სოფრომას უკვე ყველაფერი დამზადებია საკალანდოთ. იქვე ლოგინთან ახლო იდგა დიდი სუფრა. სუფრის შუა ალაგას, დიდ გობზე გაგძელებული იყო ვებერთელა ღორის თავი, ყურები აეცქვიტა და კბილები დაეკრიჭა. იქვე ახლო საინზე ელაგა გვერდ შემოგრეხილი და ყველით გაჭინჭიხული ხაჭაპური. ხაჭაპურს იქით, საინზე გულაღმა ეწყო შეპიწკინებული ქათმები ორივე სქესისა: ყვინჩილა და ვარიკა. შემწვრებს ისე აეპზიკათ ფეხები, რომ თუ გვაზავას დაენახა, ერთ ლექსს უთუოდ დასწერდა, ხოლო ქვარიანი სულ გადაირეოდა. ყველა ხვრინავდა. ხვალ ახალი წელიწადი უნდა გათენებულიყო და სოფრომას ოჯახობას უნდა გაელოცა. ჯერ შუაღამე არ იქნებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შუაღამე შეიქნა. უცბათ ეზოში გაისმა სტვენა. სოფრომას ერთი მუნიანი ძაღლი ყავდა. ამ ღამეს ძაღლს ძალიან შესცივებოდა და სახლის კარებთან გოდორში ჩამძვრალიყო. სტვენა გაიგონა ძაღლმა, მარა ძალიან შეეზარა ადგომა და პირველათ ხმა არ გაუცია, მეორეთ ისევ დაუსტვინეს. ეს კი ვეღარ მოითმინა ძაღლმა, წყევლა-კრულვით წამოდგა, გოდრიდან თავი

ამოყო და ჩახრინწიანებული ხმით დაიყეფა. გოდორმა ველარ გაუძლო, გადაგრუნდა და თავზე ჩამოემფხო. ძაღლი გოდორში დაიმწყვდი და ისევ დაიძინა. სტვენა არავის არ გაუგონია გარდა შიშტიბუქასი. ის წამოდგა, მიხვდა რაშიაც იყო საქმე. ტანზე ჩაიცვა და საჩქაროთ გარეთ გამოვიდა. რადგან ბნელოდა. გაჩერდა სახლის წინ და ყურება დაიწყო. უცბათ მას ვიღაც ეცა დათვივით, ჩაატანა ხელი მკლავში და სახლის უკან გააქცია ძუნძულით. ეს იყო შიშტიბუქას საყვარელი დათუა. მათ გადაეწყვიტათ ახალწელიწად დილით ყველაზე ადრე შეხვედროდენ ერთმანეთს და მიელოცათ. დათუა საუცხოვო ლამაზი იყო: დაბალი, მურგვივით მრგვალი, ერთი გოჯა კისერზე მუქის ოდენა თავიება, თვალები კატას უგავდა და ცხვირი ორლულიან თოფს. სახლის უკან შეყვარებულებმა ერთმანეთს შეხედეს, კბილები დაუკრიჭეს, და—დრუნჩი დრუნჩს მიარტყეს, შემდეგ დასხდენ და რადგან ძალი აკლდათ ორივეს ჩამოეყვინთა.

მამლებმა ყივილი დაიწყეს.

სოფრომს გაეღვიძა. ის მიხვდა, რომ თენდებოდა და გალოცვის დრო იყო. ის საჩქაროთ წამოდგა, აანთო სანთელი და ყველანი გააღვიძა. დაალაგეს გობზე ღორის თავი, ხააჭაპურები, ქათამი და სხვა და დაიწყეს გალოცვა. ორჯერ სამჯერ შემოუარეს სახლს და შემდეგ სოფრომა გობით გარეთ გამოვიდა, რომ სახლის გარშემო შემოევლო. დანარჩენები სახლში დარჩენ. კიდევ ძალიან ბნელოდა, მაგრამ სოფრომას უნდოდა სიყოჩაღე გამოეჩინა და სანთელი არ წაიღო. ის ხელის ფათურით გაუდგა გზას. ერთხანს კარგათ მიდიოდა. როცა სახლის უკან მიაწია, უცბათ შეყვარებულ დათუას და შიშტიბუქას დაეჯახა და თავის გობიანა ძირს ბრაგვანი მოადინა. ღორის თავი ორ-სამჯერ გადატრიალდა, ხაჭაპურები გორვით გზას გაუდგენ. შიშტიბუქას და დათუას გამოეღვიძათ და ღრიალი დაიწყეს, სოფრომასაც შეეშინა, მარა ხმაზე იცნო თავის ქალი და მივარდა, სტაცა ხელი და იმდენი ურტყა, რომ მთელ წელიწადს ეყოფოდა. დათუა კი ძუნძულით გაიქცა და გზაში ხაჭაპური გაიტაცა. სოფრომა გაჯავრებული სახლში შევიდა და თან საშინლათ ილანძღებოდა.

ღამე გათავდა, დაიწყო დღე, მზეც ამოშპა. ახალი წელიც გათენდა. სოფრომას ეზოში კბილ-დაკრეჭილი ღორის თავი იცინოდა, სახლის კუთხეში კი შიშტიბუქა ტიროდა.

ეშმაკის მილოცვები.

(წამებულ პრესსას).

„ალს“

ტირაჟმა რო აიწია
და მოგეცა მკლავში ძალი,
ახალი წლის მოლოდინში
დაგიხუჭეს ულვთოდ თვალი,
დაილოცა, ღმერთო, შენი
განგება და სამართალი!

„დროებას“.

წარვიდნენ დღენი ლხენისა,
გამოიცვალა დროება!
ან კი ვის შერჩა უცვლელად
ამაო საწუთროება.
რაინდსა გარდამავალსა
მეტი რა მოეთხოვება!..

„ფასკუნჯს“.

ზღაპრული ჩიტი ყოფილხარ,
ზღაპრულად სიტყვა-კაზმული,
„საგოგმან-მარგალიტებით“
მოქარგულ-გადარაზმული.
ჯერ დაბლა-დაბლა დაფრინავ
ზანტი და მოუხეშავი...
ფრთების მოქნევა გჩვევია
სუსტი და გაუბედავი,
პოეზიისა სამთავროს
როდის მიაღწევ ნეტავი?!

„განათლებას“.

როგორც ციცინათელა
დაბჟუტავ ნელა-ნელა!..
ნეტავ მამცნო, საბრალო,
რამ დაგწვა-დაგანელა?

„ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

ნაკადული ჯეჯილსა რწყავს,
ჯეჯილი კი მას უჩრდილებს...
ორივენი გაართობენ
მოზარდებსა და მოზრდილებს...

„სავაჭრო გზას“.

ცოდო „ფრიდონს“ და იასეს,
რო გხედნიან ეგრე მტრულათ,
რომ ვაჭრული ანგარიში
დაგავიწყეს თითქმის სრულათ:
ნისიებს რო ნაღდში სწერენ
და გასავალს შემოსულათ.



მილოცვები რკინის გზის მთავარ სახელოსნოსათვის.

თხოვნა.

ძმაო ეშმაკო! გვათხოვე
დღეს შენი გუდა სტვირია,
ნუ გაგვაწბილებ, გეთაყვა
დიდი გვაქვს გასაჭირია.
პირობას გაძლევ, ვამღერებ
სისწორით ეშმაკურითა,
უფრო თვალ-ნახულს გიამბობ
და არა ნასმენს ყურითა.

მთავარ სახელოსნოს.

გისურვებ, კერძო საქმითა
არ ჩაამლაშო ყოველი,
გზა მისცე მიზანს საერთო,
რასაც კი შენგან მოველი.

ტოკარნი ცეხს.

გისურვებ, აკორდისათვის
არ ჩამოგეშვას ცხვირია,
არც „ღამის“ მომჭირნეობა
გვენახოს ეგზომ ხშირია...
ქურდობის ასალაგმავათ
მჭიდროთ შეგეკრათ პირია.

ჩილინგართა განყოფილებას.

გისურვებთ უაკორდობას
არ დაებნიოს დავთარი,
სხვაც გქონდეთ საფიქრებელი
და არა მარტო ქანქარი.

მექვაბეთა განყოფილებას.

ამ ნაწილს სახელოსნოსას
ბევრი ყავს უკმაყურები,
მათრახის წვერით საკბენი
და ზურგის შესახურები,
იმათ არ ესმისთ არც საქმე,
არც სიტყვა ჩვენებურები

სამჭედლო განყოფილებას.

გისურვებთ, წმინდის გულითა
თქვენ მხოლოდ ერთსა რამესა:
რომ აღმოგეფხვრათ ქრთამები,
როგორც დღე ისე ღამესა.

ჩამომსხმელთა ცეხს.

გისურვებთ, კონდრაბანდულათ
ფეჩი არ ჩამოგესხათა,
და მითი მუშა ხალხისთვის
ლაფი არ გასცაგესხათა.

ვაგონის ცეხს.

გისურვებთ გამოგეხილოთ,
მიძინებული თვალები
და დეპუტატებს იქ ეთქოთ
მუშათა დანავალები.

კანტორას.

კანტორის კაკარდოსნებსაც
მსურს მოვულოცო მცირედი,
არ დამკარგვია ჯერ მათი
გამოღვიძების იმედი.
ვუსურვებ, მომავლისათვის
დაეგმოთ წმინდის გულითა,
ფლიდობა, გაუტანლობა,
გაუმაძღრობა ფულითა.

ალ. ზაგლობა.

ფინდების მაძიებელნი.

(საახალწლო სიზმარი).

თავ-ჩაქინდრული და ნაღვლიანი მივ-ყრდნობოდი ფართედ გაღებულ ალაყაფის კარებს. განიერი ეზო სავსე იყო ახლად მოკვეცილ ნორჩ ახალ-გაზრდა ნაძვის ხეებით. გუშინ ტიტველი, ქვით მოკირწყლული მოედანი, დღეს მწვანე ფაფასავით ბიბინებდა და ადამიანის თვალს სრულს ილიუზიას უბატავდა.

მართლაც რა კარგია ნორჩი, ახალ-გაზრდა, მწვანე ხავერდით შემოსილი ფაფა!

ქუჩა ირგვლივ უდაბნოსა გავდა: არსად ადამიანი, არსად ეტლი, არსად ხმაურობა. ეს ნაწილი ქალაქისა მუდამ მოძრაობს, მუდამ ფუს-ფუსობს და ნუ თუ დღეს, ახალი წლის მოლოდინში ყველაა სძინავს, გარეთ არავინ გამოდის? ძლიერ მიკვირდა ასეთი სიჩუმე! მე მიყვარს მარტოობა თვით ჯოჯოხეთშიაც და ახლაც, ახლაც უზომო ნეტარებასა ვგრძნობდი. ოცნების ფრთებზე აცურებული სადღაც შორს, შორს ცის სივრცეში დავცურავდი მარტოდ მარტო და უგზო უკვლოდ, როგორც ობოლი სული, ობოლი „პოეტი საფაროისა“.

— აქეთ დიმიტრი! აქეთ. მოუხვიე!— მოულოდნელად მომესმა ადამიანის ხმა და ტკბილ ოცნებას მოწყვეტილი, მსწრაფულ ჩამოვეშვი დაბლა დედამიწაზე.

— შეიძლება აქეთ იყოს სადმე... დინჯათ მიუგო დიმიტრიმ.

სმენად გადავიქეც!

თვალებს ძალა დავატანე!

სულთქმა შევიწყვიტე!..

— ამ ქუჩებში მარტოდ სიარული საშიშია. ხომ ხედავ ჩვენს შემდეგ როგორ გამოცვლილა აქაურობა!

— სწორედ გასაოცარია... კვლავ სიღინჯით მიუგო დიმიტრიმ.

— მოვუცადოთ ერეკლეს, თორემ დავიქსაქსებით, ის უფრო საფუძვლიანად გამოიყენებს ჩვენს მცირე ძალას, თუ აქ სადმეა შენახული, ალბათ ერთად იქნება და ვიპოვით.

სული შემიწუხდა. თვალებს ვეღარ დავუჯერე. ჩემს წინ რაფიელ ერისთავი იდგა ფარნით ხელში და რაღაცას გულმოდგინეთ ეძებდა. ქუჩის მეორე მხარეზე ბადალი ხმელი, ხანში შესული ადამიანი, დიმიტრი ბაქრაძეს მივამსგავსე და სახელ-წოდებამაც დამარწმუნა ამაში. ძლიერ შესიამოვნა და მეუცხოვა მათი ნახვა, მაგრამ ჯერ კიდევ თავს არ ვუჯეროდი. შორს მოსჩანდა ილია ჭავჭავაძე და ქუჩის მოსახვევიდან პატარა-კახის მჭეჭარე ხმა ისმოდა. გული ამითრთოლდა ამ კრებულის დანახვით, მაგრამ ყველაზე უმეტეს შოთას ნახვა მეუცხოვა. გულში გადავწყვიტე: რაღაც განსაკუთრებული მოხდარა, რომ საქართველოს ბინადარნი ქვეყნად ჩამოსულან მეთქი!

მოდი და ნუ გაგიკვირდება! ნებსით და უნებლიეთ საქართველოს მიმავალს ათასობით ვხედავთ, ხოლო დაბრუნებული აბავის უნახავს ან სად გავონილა? ჯერ გადასახლებული, ცოცხლად გადასახლებული არავინ დაუბრუნებიათ, არა თუ საქართველოდან მოსულიყოს ვინმე.

— ერთი შეხედეთ ამ ვერანგებს, კარგი ქუჩებისათვის თავისი სახელი დაურქმევიათ და ჩემთვის ეგ ვიწრო სავალი დაუტოვებიათ. სიონის მხრიდან ჩამოილაპარაკა ერეკლემ!!

— რა ჰქმენით, დიდებულო, იპოვეთ რამე? მოკრძალებით შეეკითხა შოთა.

— რა ბრძანებაა! არსად არაფერი კვალი არა სჩანს!

— საკვირველია!

— სრულიადაც არ არის საკვირველი! მიუგო რაფიელმა. ხომ გსმენიათ:

„რასაც არ გასცემ შენია,
რასაც კი,—დაკარგულია.“

— თქვენ გაგიგონიათ, მოხუცო, ეს თქმულება და ამ ყმაწვილს-კი თვით წარმოუთქვამს, დასძინა დიმიტრი ბაქრაძემ და თანაც შოთაზე მიუთითა.

— მართალია, მაგრამ მე ეგრე არ წარმომითქვამს. დაუმატა შოთამ და საჭირო განმარტება შეიტანა.

ყოველ შემთხვევაში ჩვენს საქმეს აღარ ეიცი რა მოაგვარებს. ერთი დავუძახოთ ბარათაშვილსა, სადმე აქ ახლოს იქნება, შეიძლება იმან იპოვა რაიმე კვალი.

— ყაზბეგიც წამოსულა საძებრათ.

— როგორ, განა მის სახელზედაც არსებობს ფონდი?..

თავში რაღაცამ ელვასავით დამკრა და ტანში ჟრუანტელად დამიარა. უცებ მივხვდი თუ რაშიაც იყო საქმე და ალაყაფის კარებთან უჩინრად მდგომარე უფრო თვალსაჩინო ადგილას წამოვდექ.

მაშინვე შემნიშნა რაფიელმა. შფანარი მომანათა და ნელის ნაბიჯით მომიახლოვდა.

— თქვენ აქაური ბრძანდებით?

— დიახ, პატივცემულო.

— თქვენი სახელი?

— ეშმაკი, ბატონო!

— რაო? ეშმაკი?!

— დიახ, ეშმაკი.

— დიდო ერეკლე! სულხანთო შოთა! აქეთ მოდექით,—გასძახა რაფიელმა.

ორივენი მომიახლოვდენ და მეც მოკრძალებით მივესალამე. ჩემს დღეში არ მენახა ასეთი სახე შოთასი, ქუდი კი აკაკის იუბილეზე დავინახე. ორივენი მოწყენილნი იყვნენ.

— თუ ჩვენს საძებარს რაიმე ეშველა, აი ეს ეშმაკი უთუოდ გამონახავს, ალბათ ამან იცის სად რა ინახება, ვის რა აბარია.

— დიდის სიამოვნებით! თუ კი რამ შემიძლია დაგეხმაროთ, არას დავზოგავ, ჯოჯოხეთს ვფიცავ!

რაფიელი შეცბა.

— აკი, ბ-ნო ეშმაკო, აქაური ვარო, განმიცხადეთ. ახლა ჯოჯოხეთს ფიცავთ. ნაწყენი კილოთი მისაყვედურა მან.

— სცდებით, პატივცემულო მოხუცო, მე დიახაც აქაური ვარ, მაგრამ ამ ქვეყანას ჯოჯოხეთს ეძახიან.

— როგორ თუ ჯოჯოხეთს, ეს ხომ საქართველოა!

— ეს ხომ ივერიაა!

— თითონ თქვენა ცდებით, ბატონო ეშმაკო! ამ მხარეს ფრიად მრავალი სახელი ეწოდება: ჩვენ ქართველები მას



ახალგაზრდა მემკვიდრე გერმანიისა არიგებს პროფესორებს.

ბ-ნო პროფესორებო! უწინარეს ყოვლისა თქვენ უნდა იყოთ ერთგული გვირგვინოსანი მამაჩემისა და დედა-ჩემისა, ამასთანავე უნდა უქადაგოთ ყველას მათი ერთგულება და ერიდოთ მარქსის ჭამას.

საქართველოს, ან ივერიას ვეძახით, რუსები „გრუზიას“ უწოდებენ, სპარსნი და ოსმალნი „გურჯისტანს“, ხოლო ევროპიელნი „გიორგიას“. ასე ამბობს ისტორიაც, აი თუნდ მოსე ჯანაშვილსა ჰკითხეთ,—ამიხსნა დიმიტრიმ.

— მესმის, პატივცემულნო, მაგრამ ეს წინად ერქვა და დღეს ჯოჯოხეთი ჰქვიან. ცოტა რომ მიიარ-მოიაროთ, ნათლად დარწმუნდებით ჩვენს სიმართლეში.

— მართლაც რასა გავს აქაობა! მეტეხის ციხე ხალხით აუვსიათ! კრწანისის ველი უდაბნოთ ქცეულა!—ჩაილაპარაკა ერეკლემ.

— დიდუბეც მკვდრებით გაუვსიათ,—დაუმატა შოთამ.

— თქვენი ფონდისათვის ფულების გროვება, ვგონებ, კრწანისის ომის ასი წლის თავზე დაიწყეს, ბატონო ირაკლი? შეეკითხა დიმიტრი.

— სწორეთ ასე იყო. ვგონებ 1897 წელში შესრულდა ასი წელი.

— ჩემზედაც რაღაც ამ ხანებში დაიწყეს გროვება,—დაუმატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა.

— ხომ არა გაგეგებათ რა ჰბუკო, იმ ფულებისა, რომლებსაც ჩვენი სახელით აგროვებდენ?—ტკბილად შემეკითხა რაფიელი...

— და რომელსაც ფონდებს უწოდებენ,—დაუმატა დიმიტრიმ.

სირცხვილმა ყურებამდე გამაწითლა. წარმოიდგინეთ, მართლაც რამდენი ხანია და რამდენი ფონდი დაარსდა ჩვენს კურთხეულ ჯოჯოხეთში, ამდენი ფულები საორსულო და სამკვდრო საქართველო კასებიც არ გახსნილა ჩვენში ხოლო ეს მოგროვებული ფულები სად განისვენებენ, ემატებათ თუ აკლდებათ, მომმართდენ რამე საქმეს თუ ინახებიან, არაფერი გამეგებოდა. განა ამაზე მეტი სირცხვილი შეიძლება?

— რამ შეგაფიქრათ? შეიძლება არც თქვენ იცით სად ან ვისთან ინახება ეს თანხა. რა გაეწყობა, დავსძებნით, შეიძლება ვიპოვოთ. დამამშვიდა შოთა რუსთაველმა.

მაგრამ ვაი ამისთანა დამშვიდებას. თუმცა ვიცოდი, რომ

„წამხდარსა საქმეს არ არგებს
მერმედლა თითზე კბენანი“,

მაგრამ ერთი ისეთი მწარეთ ვიკბინე თითზე, რომ მწვავე ტკივილისაგან თვალები დავაჭყიტე და ხანგრძლივი სიზმარის ტკბილი მოგონებათაგან ერთად ერთი მწარე ფიქრი ჩამცივებოდა.

— სად არის ეშმაკო ის საზოგადო ფონდის ფულები?

ვინ იცის სად არის.

დედამიწას უკვე გაევლო თავისი გზა და ათას ცხრაას ცხრა წელი და წყაბულიყო.

იქნებ ახალმა წელმა გვიამბოს რამე ამ ძველი ამბის შესახებ!..

ეშმაკი.

მილოცვები პროვინციიდან

გლეხს.

კვლავ გაცვეთილ ქალამნებში
სიმწრით თითებს აცმაცურებ
და მინგრეულ კარ-მიდამოს
ნაღვლიანათ გაჯაჭყურებ.
არ კითხულობ: როგორ მოხდა,
რომ აღარ გაქვს სარჩო, ბინა...
ვერც პერანგი გიყიდია
ტიტლიკანა ბავშვისთვინა?..
მოწყვეტილხარ...აღარ ფიქრობ
მისცე შენს თავს ანგარიში:
შენს ცხოვრებას რისთვის ახლავს
მუდამ ტანჯვა, მუდამ შიში!..

მაღაროს მუშას.

ბედკრულს, სიბნელეთ გადამქცევია
ქვეყნის სიმშვენე, მზე გასახარო!
დღიურმა ლუკმამ წილათ მარგუნა
მხოლოთ მაღარო, მხოლოთ მაღარო!
ჩემი ვარსკვლავი ამას ამბობდა,
ამ ჯოჯოხეთში, რომ ოფლი ვღვარო?
ოჰ ბედის წერავ როგორ დამცინი!
მხოლოდ მაღარო, მხოლოდ მაღარო!!
მითხარ ეს წესი ვინ დაადგინა:
მე ვიმუშაო, სხვა ვანეტარო,
ის სასახლეში მზეს შესცინოდეს,
მე ბინათ მქონდეს ბნელი მაღარო?!

იონა თლუღელი.

—

სატრედიელ

ზოგიერთ მუშებს. გისურვებთ ახალ წელში ახალი ენერგიით შესდგომოდეთ იმ პირების გამოძებნას, რომლებმაც კავშირის ფული „შეიმასქნენ.“

მასწავლებლებს— გისურვებთ ახალი წლიდან ახალ გუნებაზე დამდგარიყოთ, მუდმივ „არშიყობის“ მაგიერ საკვირაო სკოლაზე გეზრუნოთ და მით საშუალება მიგეცეთ აქაურ ნოქრებისთვის შეეძინოთ განვითარება.

ბ. გვ—ძეს—გისურვებთ ახალ წლიდან ფრთხილათ ყოფილიყოთ და ხაჭაპურების ცხობით ხელები არ დაგეთუთქოთ.

კ. გ—ლს—გისურვებთ ახალ წლიდან ჯიბგირების არმიის შემცირებას.

ექიმ—ფერშლებს—გისურვებთ ახალ წლიდან ნაკლები კაპრიზობა გამოგეჩინოთ, დიდი რეცეპტების მაგიერ პატარა გეწეროთ და მარგებელი.

დეპ. მოსეს—გისურვებთ ახალ წლიდან ახალი „ფარნები“.ს შეძენას.

სამკითხველოს მზრუნველებს — გისურვებთ ახალ წლიდან ერთი სამკითხველოს მაგიერ სამი გაგეხსნათ.

აფთიაქის პატრონებს გისურვებთ ახალ წლიდან შეგირდის მაგიერ, პროვიზორის შეძენას.

რკ. გზის კლუბის გამგეებს—გისურვებთ ახალ წლიდან სათამაშო მასალების გამრავლებას.

რკ. გზის კასირებს—გისურვებთ ჯორულათ ფეხის გადგმას თავი დაანებოთ ახალ წლიდან.

ს. დიდი ჯისაიში

მწერალ—მამასახლისს და ყველა საზოგადო მოღვაწეებს.—გისურვებთ მოღვაწეობასა თქვენსა კვლავ არა ქონდეს დასასრული უკუნითი უკუნისამდე.

პურიშკევიჩი.

ნიგოითი.

ფ—ებს.

მოხდენილათ „დანოსობა“
ამჯობინეთ ზარმაცობას...
კარგი საქმე დაგიწყიათ,
ვაშა, ვაშა თქვენს კაცობას!!

მაგრამ მიკვირს ეს ამბავი
რათ არ ამცნეთ „ნიგოითელს“:
კირილეს რომ ქცევა უქო,
რას ერჩოდა ლავრენტი ღვდელს?

გაძევებულს.

გისურვებთ ახალი წლიდან,
ახალ „ლიგაში“ ჩაწერას,
დღემდის „სიტყვით“ მოქმედებდი,
დღეს კი ხელი მიყავ „წერას“.
მაშ განაგრძე სამსახური,
გაგამართლებს „ბევრი“ კიდეც,
თუმცა „ბოლო“ გამოჩნდება
გრძელია, ვერ ამოიკეც.

ნიგოითისათვის,
(შარადა და აკროსტიხი).

ჯერ მოგიყვებით შარადას
ადვილათ გასაგებსაო,
(ვინც გამოიცნოს, ჩუმ-ჩუმათ
ჩაუფურჩულოს სხვებსაო!)
„ერთი“ გამოთქვით მეგრულათ,
ნუ დასძენთ ბოლო ასოსა,
(თუმცა არც ბოლო ასოს თქმა
დაღუპავს საქართველოსა)
შემდეგ მონახეთ ცხოველი
ტურას გავს, ქათმის ქურდია
და მიუმატეთ ორივეს
სიტყვა „ძე“, როგორც კუდია.
და გვარი უკვე მზათ არის,
სახელს დაუგდოთ ყურია:
აქ აკროსტიხი გამოვა
სასმენათ საამურია.
ტრიალ მინდორში მარტოკა
იბრძვის ჭაბუკი ძალზედა,
ტანთ შეუმოსავს სერთუკი
ეპოლეტებით მხარზედა.
ახლა მისმინეთ ისედაც
უბრალოდ მონახსენები,
რაებს ამბობენ ამ გმირზე
ჩვენში „ბოროტი“ ენები.

ჩვენს ესდეკებში სულყველას
„გააძრო“ მაგან ტყავიო,
თითონ სწერს, თითონ გამოსცემს
თვითვეა წამკითხავიო.
არ გამოუჩნდა ამ ქვეყნად
არავინ გამკითხავიო
და მიატოვა ქალაქი
სოფლად ამოყო თავიო.
აქაც უტყუა ვარსკლავმა
ბრიყვს გამოაჩნდა ბრიყვობა
და ცდილობს თურმე იშოვოს
„მიროვო-პოსრედნიკობა“!

კუდიანი.

—

ჩიბათის ნაძირალებს.

ბერეთ და ბერეთ სიცრუის გუდა
და სამლიქვნელოთ ილესეთ ენა,
გვესროლეთ ბრიყვნო ტალახის გუნდა
ამაში პოვეთ შვება და ლხენა.
თავს მოგვახვიეთ რაც მოხდეს ცუდი,
შეთხზეთ და ზიდეთ მთავრობის კარზე,
ხალხის ბნელ ნაწილს უქნიეთ კუდი
და ათამაშეთ საზიზღარ ქნარზე.
გინდ განაჩენიც გამოგვიტანეთ
ვით ავაზაკი და მოღალატე,
თითონ კი ბნელ ხალხს ამოეფარეთ
ხელდაბანილი, როგორც პილატე...
მით ვერ შებღალავთ ჩვენს სულს წმინდასა
ჩირქს ვერ მოაცხებთ ერთობას-ძმობას,
ვერ დაუხურავთ სიმართლეს კარსა
ვერ შეეხებით ჩვენს წმინდა გრძნობას.
ერთხელაც იელვებს ბედის ვარსკვლავი
ბრბო დაბნეული გზას დაადგება
და იუდებო, თქვენი ნახრავი
ძვალი ისევ თქვენ ყელ-დაგადგება.
მანამდე ბერეთ სიცრუის გუდა
და სამლიქვნელოთ ილესეთ ენა,
ნაძირალებო, ეს არის თქვენი
საბედისწერო შვება და ლხენა.

ვ. მყონია.

—

ოზურგეთი.

ვ. ხუნდაძეს.

არ გარდივლის გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა...
არჩევნებზე არ დაზოგე
არც საქმე და აღარც ენა,
მაგრამ მაინც გაგაშავეს,
უქმი დარჩა შენი ხრიკი,
აგიეც ზედ მიგაყოლეს
და აუწევს კუდის რიკი.
დღეს ხმა დადის: უპრავაში
თითქო „კატა დამპალიყოს“,
და ქანქარი ბევრის-ბევრი
უგზო-უკვლოდ გამქრალიყოს.
იქნებ თავო, დრო გასულო,
ვისმე გაჰყვა უცაბედათ,
ან აფთიაქს მიასესხეს
„მიქსტურების“ დასაკვეთად!?.

პლი.

—

ქვირილა.

კოლა ნემსაძეს.

საახალწლოდ მივულოცავ
დიდ ყანწსა და დიდ პორტმანსა,
და ვიმედობ, არ მოაწყენს
არც ვაქარს, არც მიკიტანსა.

ვაჭრებს.

როგორც მზე და როგორც მთვარე
შევაბეროთ კლუბს და ლოტოს,
რომ მუდამ ჟამს გაჰკიოდეთ:
„ტერნოს“, „ამბოს“, „დემანოსტოს“.

ბანკს.

საგლეხო ბანკს მივულოცავ
ორას თავგს და ორმოც ვირთხას,
რადგან მათი ხრაგა-ხრუგი
ფული ეგონება ვინცხას.

მარიცკო.

—

ჩოხატაური.

გიორგი კეკელიძეს.

ვუსურვებთ, რომ სტრაჟნიკობა
არ დაეწყოს კეკელიძეს,
და ის აზრიც უკუ ეგდოს,
რომ ქკუა აქვს თითქო სიგძეს,
რომ ფოსტაში დამჯდარიყოს,
საქმისათვის ეგდოს ყური,
და ვარ ეყოს საბოლოოთ
პოლიციის სამსახური,
თუ არ უნდა ეშმაკისგან
გახდეს გვერდებ შენახური.

კალია.

—

ნატანები.

ახალ წელიწადს ულოცავ
ნაკაშიძე მიშასაო;
სალარიბოდან რომ ზიდავს
ხეებსა და შეშასაო,
მუშებს ისე ამუშავებს
ვით სახედარ „ნიშასაო“
და ფულებს კი თითონ ხვეტავს,
როგორც წყალი ქვიშასაო.
მომავალში ცოტა უკლოს
წალლეტისა იშტასაო.

თოლა-ბულთა.

ეშმაკის მილოცვა.

კ. ჩხეიძესა და ე. გეგეჭკორს.

როცა სევდა კაეშანმა
გულს მოჰფინოს სივაგლახე,
ნუ შედრკებით; გაიხსენეთ
თქვენ არჩილის წმინდა სახე
და გამხნევდით! ჯერ ბევრია
აზრის თქვენის მოზიარე
თავ-განწირვას კვლავ აფასებს
წამებული ჩვენი მხარე.

აკაკის.

შენს დღეობას რო შეხედა
სხივოსან მზეს ეცა ელდა
და სთქვა: „მგოსნის ელვარებით
ლამის სახე დამიბნელდა!“
გუშინ მთვარეს დაენახე,
თურმე მასაც ეცა ელდა,
ჩამოგვძახა: „ამცნეთ მგოსანს,
რომ დღეობა გაუგრძელდა!“.

იაკობ გოგებაშვილს.

„გამკრავ ქარს“ თუ დაემალე
მუდამ წელს და ზამთარ-ზაფხულს,
მუზეუმშიც ვერვინ პოებს
სოფლის სკოლას შენგან ნახულს,
და სულიც რომ წავიწყმიდო
ნატვრა ცოდო იყოს დიდი,
ღმერთს ვსთხოვ: სოფლად დამენახო
სამგზავროთ ბარგ ანაკიდი.

პ. გოთუას.

საქანქრეთში დღესაც სჯერათ
შენი ძალა-სასწაული,
შენი შორსა მჭვრეტელობა
ენა ტკბილათ მოქარგული,
და თუ სადმე გაჰქანდა,
არ წაგივა ხელით ფული,
ოუმცა: კასა ვინც მოგანდო
ყველას დახვდა გამოხრული.

გრ. ვოლსკის.

თუ ღმერთი გწამთ, არ იწყინოთ
ეგ პატარა გამოცანა:
პედაგოგთა „შუქურ-ვარსკვლავს“,
თითონ ბრძანეთ,—შეჰფერს განა,
ძუძუ-მწოვარ ბავშვებს უჯდეს
და ასწავლოს „ანა-ბანა?“

კ. თუმანიშვილს.

ეზუიტი, ეზუიტთა
მაღალ მცნების ჩანაყლაპი,
აქ ამაოდ დალაქუცობ,
უნდა იყო რომის პაპი,
რომ თვალთმაქცობ-ორპირობას
გაუშალო ფართეთ კიდე
და არ შერჩე საჯინიბოს
„ზუბრთა“ ჩვენთა გადამკიდე.

გასართობი.

სადილზე.

სადილის დროს ერთმა სტუმართაგანმა წასჩურჩულა თავისს ახლო მეზობელს:

— იქნებ იცით ვინ არის ის ძროხა, რომელიც მასპინძელის გვერდითა ზის.“

ის იმ ხარის დედა გახლავს, რომელსაც თქვენ ელაპარაკებით.

— ? ? ?

სასამართლოში.

მსაჯული. თქვენ ბატონო ბრალდებულო, ზომა გქონიათ ურიგო: არშინი მაგალითად ერთი გოჯით მოკლე გამოდგა.

ბრალდებული. სამაგიეროთ ერთი გოჯით უფრო სქელია ბ-ნო მოსამართლევ.



სქესთაშორისი თანასწორობა.

(რუსულიდან)

კაცის და ქალის სწორ უფლებობა
(და არა მათი მეტ-ნაკლებობა)
დიდი ხანია ჩვენში არსებობს
(ამას ციხეთა სიმრავლეც მოწმობს)
აი თუნდ ნახეთ ეს ორი თავი,
არ ეყოს კაცი მკითხავი,
რომ გამოიცნოს ორივე ხელად...
ასეა დღეს და ყოფილა ძველად!..
მაშ მოვიშოროთ თავიდან ჭორი:
ციხეში ყველა ვართ თანასწორი!..!



„ქეშარიტ რუსული“ კონცერტი.

ბანგი ციური,
პოლიციური
თაღრდის დარბაზს განაცხოველებს.
უხმო ლხენა
„სვისტოკთა“ სტვენა
აუტეხიათ დუმის ცხოველებს.
და დეპუტატი,
მხრობელ ფსიხოპატი
პუროიშკევიჩი განგებს ხოროს,
და ვეკვომ კრებულს
შაგს და დიდებულს
ქვეყნად სხვა ვინმე ეთანასწოროს.

უცხო სიტყვების ახსნა.

რადგან ამ ნომერში ერთოპ ბევრი უცხო სიტყვები გაგვეპარა, საჭიროთ ვსცანით მოვათავსოთ მათი ახსნაც, რათა უფრო ადვილათ შეეძლოს მკითხველს წაკითხულის ჩქარა გაგება და დავიწყება.

ბგა—ხუცების კუოტანი, ღვეძლებით და ციცი ლომით შეკაზმული.

ბანნა—საპოლიციო ნაწილი, წოდებული „ობოლ ვირთა აბანოთ“.

ადანი—ჩარ-ბაკეცების სასწაულთ მომქმედი კვერთხი, *) რომლის ერთი დაკვრით ნახეკვარ ალაბი ჩითი, ანუ ნარმა ერთ ალაბათ იქცევა.

ალმანახი—გულის მოსაფხანი წამალი.

ალმეზა—ახობაძური მარწუხი ტბილგბისა და უმრავლესად კი ჯიბიდან ქანჭარა დასაძრობი.

ადრესი—ლვანკითელი ხარის ბიდაობა.

ბასქა—მუშათა ახალი სარეაქციო ლოზუნგი.

ბუტაბაბა—ტრადიკული როლის თამაში ქართულ სცენაზე.

ბრაგა-ბრუგი—პოლიციური ალეგორსი

ბოდგა—ძეთიაურების წერა.

გურია—გაკოტრებული ურია.

გაქდაბა—ეხლანდელი სიზმარი.

გაფლანგვა—სახაზინო თაგვების დაპურება.

დაფა-ზურნა—ოცნება ვლადიმერ მიქელაძისა.

დათრობა—ღრმა მეცნიერულათ ჩაფიქრება.

დარბეგა—კაზაკური ბუქნა.

დედალი—ხუცების გასატენი მასალა.

დუქანი—გასატყავებელი ეპიზოდი.

(შემდეგი იქნება)

იყიდება

„ეშმაკის“ სტამბაში და ყველგვე ყველა პროვინციელ აგენტებთან იუმორისტული ჟურნალების კომპლექტი:

„ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი . . . 1 მ. 30 კ.

„ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წ., 35 ნომერი, ერთათ შეკერილი. . . . . 2 მ. 50 კ.

„შურდული“ „ „ 3 „ — — 15 კ.

გამოწერა პროვინციებიდანაც შეიძლება და გაეგზავნებათ ვინც წინდაწინ გამოგზავნის ღირებულ ფასს.

ადრესი: Тифлисъ, типографія «Шрома» Теофилу Ерастовичу Болквадзе.

აგენტებს დათმობა 25 პროც., უნდა მიმართონ გაზეთების ბიუროს ხელმძღვანელს ბ-ნ მ. გაჩეჩილაძეს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. გამომცემელი ფელიქსონ ნოდია.